

ს ვ ა ლ ი



სალიბარტუსო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 4. იანვარი 16, 1894 წ. № 4.

შანჯანა:—მ ავინება თ. სოფიო წულუკიძის გადაცელებისგამო აკაცისა.—ალ. ყაზბეგის გადაცელებისგამო *NV*.—მოცულობი კაცის დღიერიდან კვირტისა.—* * * ლექსი ცახელისა.—ჩვენი ქვეყნის რაინდი ე. ნინო ლეონიძისა.—ჯონ (ივანე) ტინდალი გ. წერეთლისა.—ბატონყაზის დროიდან, ლექსი ვაჟა-ფშაველასი.—ცხინვალის ახალი ხიდი პატარა ლიხნზე თ. კ. ხერხეულიძისა.—კრიტიკული შენიშვნები ზღვისპირულისა. მოზნუბარიძის სახსოვრად ლექსი სილოვანისა—ყვრთო განსჯადებანი.

მ ა გ ო ნ ე ბ ა

თ. სოფიო წულუკიძის გადაცელების გამო

ბატონ-ყაზიბა რომ გადავარდა და ახალი კანონები შემოიღეს ჩვენში, ძველი წესწყობილება დაიშალა და ცხოვრებამაც ფერი იცეალა. ხალხი მოულოდნელად შეკრთა და აღელდა. საზოგადოება ორად გაიყო: ერთი ისევ ძველს ეჭიდებოდა და მზავგრეკლს ძალს ეყვლებოდა!.. მეორე ახლისკენ იწედა და დაივარულღებს ექომაგებოდა. პირველს დაერქვა „ძველი-თაობა“ და მეორეს „ახალი“, აქ წლოვანება არა ფერშუაში ყოფილა: „ძველი-თაობის“ წრეში ბევრი ახალ-ვაზდა ერია და ავრეთეე „ახალი-თაობის“ რაზმსაც ბევრი მოხუცი აშენებდა. ატყდა ბრძოლა მკა-

ური და პირ-და-პირი. ზშირად ძმა ძმას ეწინააღმდეგებოდა, მამა შვილს და შვილი მამას!... პირადობამ და სისხლ-ხორცობამ ადგილი დაუთმო საზოგადო, საერო, საპირობებს. დღევანდელი, ისრედ წოდებული, პარტიობა ოდნათაც ვერ მოგვაგონებს მაშინდელ ბრძოლას: მაშინ საზოგადო ფერი ჰქონდა საპირადო საქმესაც და დღეს კი საზოგადოსაც საპირადო სარჩულს უღებენ.—ამ არეულობაში, რასაკვირველია, ქალებიც იღებდენ მონაწილეობას. — საზოგადოდ შეგინიშნავს, რომ ქალები ჩვენში ყოველთვის უფრო სიმართლისკენ იწევენ და ამიტომ მაშინაც ქალები „ახალთაობის“ დასში მეტობდენ და მათ რიტემი კი ერთ შესანიშნავთაობა იყო დღეს განსვენებული სოფიო წულუკიძისა. თუმცა ის არ ყოფილა არც ვართქმული მწე-



თ. სოფიო წულუკიძის

ეს ნახატი შეწვირად იყო დახატული ქიმიტრად: მაგრამ სამწუხაროდ ლიტოგრაფიაში გავიჟუჟეს.

რალი, არც შესანიშნავი ორატორი და არც სწორ-უხოვარი სხვა რამეში!... იყო მხოლოდ საკმაოდ შესამჩნევი თვალ-ტანადი, კეთილმოუბარი, გონება-გახსნილ-განვითარებული, გულწრფელი და ბუნება-მალხაზი და ეს ხომ იშვიათი მოვლენა არ არის ჩვენში? ვანა ცოტანი არიან დღეს ჩვენში ამ ღირსებით შემკულები? ბეერი... ძალიან ბეერია, რომ არა მარტო გარეგანი შეხედულობით, გრძობა-გონებრთაც კი ჰგანან „ძველ დღეებს“, მაგრამ მაინც ევლარ არიან მათთან ერთად, სახსენებელი, რადგან უსკლმართად ხმარობენ ბუნების ნიჭს. სხვაგან ჰქრის მათი გონება!.. და სხვა გზით მიიწეეს მათი გრძობა!.. ამგვართავანი არ იყო განსვენებული სოფიო!.. ის იღვა სწორ გზაზე და ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში, არც ერთი საზოგადო მოვლინება არ ყოფილა მისთანა, რომ იმას თანაგრძობა არ თვალგამოცხადებინა... ყურს ადევნებდა ჩვენს ცხოვრებას და ჩვეულებრივი შეუპოვრობით, აესა ჰგომობდა და კარგს ადიდებდა. აი, ამ მცირე რამეთი მან სიცოცხლეშივე მოაიოვა საზოგადო თანაგრძობა და სიყვარული. ამ ბოლოს დროს, უკანასკნელ წლებში მისი აღარა ისმოდა რა. ხანგრძლივ უნახაობას შემდეგ შარშან ზაფხულში შეხვდით ერთმანეთს. — ცელილება ბეერი ვერა შეგატყვე რა, მხოლოდ ნაღელიანობა კი ეჩნეოდა მის სახეს, — ჩვეულებრივს მოკითხვას შემდეგ, როდესაც გამოჰკითხე მიზეზი მისი ასე გაჩუმებისა და ნაღელიანობისა, აი, რა მიასუსხა სხვათა შორის: „მე ჩემო ძმაო, ჩვენ რომ გეინდოდა და გვეგონა, ისე ევლარ განხორციელდა ჩენი იმედები. სურვილი გულში ჩაგვიკვდა და გული გატყდა — მეც წაველ და მგლოვიარედ დაეჯექ სოფელში; იქიდან ვადვენებდი თვალ-ყურს ჩენს დღგომარებობას ქურნალ-ვაზეთების წყლობლით, მაგრამ მაინც ისინი! სანუკე-შოს ვერას მეუბნებოდნენ... ერთხელ კიდეც, დიდი ხანი არ არის, დავესწარი ბანკის არჩევანებს და ბედი დავწყვევე. — ბრძოლა იყო მხოლოდ ლუკინათვის და ყველაფერი კუჭზე ტრიალებდა!.. ერთმა ვილაც სოფელმა ქართველური გულ-უბრყვილობით დიამხა: „ბატონებო, აქამდე თქვენმა ამორჩეულებმა სჭამეს და ახლა ჩვენ დაკეთიმეთ!.. ჩვენმა ამორჩეულებმაც სჭამონო!“ ნათლად გამახატა ახლანდელი დრო და ბრძოლის ხასიათი!.. ეს სიტყვა „სჭამონო“ ისარივით მეცა გულში და დანაღ-

ვლიანებული დებარუნდი შინსაკენ!... ეჰ, წავიდა ის დრო, ჩვენ რომ გეინახავსო!... მაშინ სწორედ ვარდის დრო იყო, თუმცა შიგა და შიგ ეკალიც კი მოყვებოდა და ზოგიერთებსა ჰკაწრავდა და დღეს კი მარტო ეკლის დროა უფერდოთო!.. დამატა და მიმედ ამოიხენწეშა: — მართალი არის კნენაე — ეუბასუხე მე — რასაცა ბრძანებთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებთ კი, რომ მაშინ ვაზაფხული იყო და დღეს კი მაშინდელი ვაზაფხულის შემოდგომაა: რაც მაშინ დაითესა, დღეს, მხოლოდ მისმა ნაყოფმა იჩინა თავი!... ნუ გაიკვირებთ!.. როცა პური ამოდის, ხორბალს თან მოსდევს ღვარძლიც და გორგალაც; თქვენ მარტო იმ ღვარძლ გორგალას უყურებთ და წმინდა ხორბალს კი ევლარა ჰხედეთ-მეთქი. ეუსტოვა განსვენებულს ეს სიტყვები და ისე შემომაჩერდა, თითქოს მეკითხებოდა: აბა, მიჩენე, სად არისო? მაშინ თუ ვარდის დრო იყო, — განევატძე მევე — ახლა წაბლის დროა!.. დიღ წაბლის!... წაბლის ბუძეს გარედან ეკლები ასხია, მაგრამ როდესაც სრულიად დამწოდება, ბუძე იბობა და შუა გულიდან გაღმოცინდება ხოლმე ატლას-კანიანი ბროლივით ნაყოფი-მეთქი. შენს შორს თაფლიო მომამხა სიცოლით — კეთილი, თუ დათემა არ მობეღა!... — ისე ვერ მობეღავს, რომ კიდევ სამყოფი არ დარჩეს-მეთქი-მეც სიცოლით ეუსხარი და გაეწმდით ორიენნი, რადგანაც მასწინძელმა სადილათ მივიწეია. — სადილზე ჩვეულებრივად მოიღხინა კნენამ, გამხიარულდა! და ვისაც რა უნდა ეთქვა კერძო რამეზე, ის სული ცდილობდა, რომ საზოგადოზე გადასულიყო — და საერთო ხასიათი მიეცა. სხვათა შორის მასწინძელმა სთქვა: საკვირეელია, რომ ჩენი ოჯახის შვილები, დიდ-გვიარშვილები, მეტად გაგულგრილდნო!.. ეკითხულობ ვაზეთებში, ამან ეს შეზღოწირა საქველმოქმედო მიზნით, იმან ის!... ვინ იცის, საიდან და საიდან არ მოსდის ეს შემოწირულობაო!.. ეაკვირდები და შემოწირველთა რიცხვში ერთ-ერთი ცნობილი გვიარი არ ურევიან!.. სულ უსწობი და უბრალე ვარებიაო!.. ევ სულ ერთია — ვააწყვეტია სიტყვა ენეან სოფიომ მასპინძელს — ერთი შტო რომ განმება, მეორე გამოიყრისო!.. საქმე ვესვხედ არის და ღერძხელო!.. დღემდის, ძველათგან თუ წულუკიძეები ყოფილან და წერეთლევი იქნებინანო!.. მაგათი ქვეყანა არას დაჰკარავსო, ოღონდ ნაყოფი კი ენახოთ ხოლმე და ძველ-შტოზე იქნება მობმული, თუ ახალზე სულ ერთია!.. ასეთი ალტაცებითა და გულ-წრფელობით ამობდა

ამ სიტყვებს, რომ სტუმრები და მასპინძლები ერთად ყველა გაიტაცა და ერთმა მითვანმა ადისო სასასპო და სიტყვა: „ღმერთმა ნუ გამოუღიოს ჩვენს ქვეყანას მამულიშვილები და ნუ მოგვაკვოს მათი მეთაურობა, რა გვარისაც უნდა იყონ სულ ერთიაო!.

„ამინო!“ — დაიძახა განსვენებულმა სოფიომ — და სცალა სახეე ჭიქა: ის „ამინ“ იყო მისი უკანასკნელი სიტყვა ჩემთან თქმულა. ღმერთმა ნუ მოუშალს საუკუნო განსვენება და მისი კერძო „ამინი“ საზოგადო საერო ამინთ გადააქციოს.—

აკაკი



ალ. ყაზბეგის მოგონების გამო

მოცლილი კაცის დღიურიდან

მედიის № 52 წიკითხე კნ. ნ. ორბელიანის მოგონება ალ. ყაზბეგზე, რადგან იქ კოტა შეცდომებია და თით „ნანანას“ ლექსიც სრულად არ არის მოყვანილი, ამისთვის საჭიროდ ვრატ რამდენიმე დამატებითი ცნობები დაქვინო. ნანანას შემოზხველი იყო ბიძა ალექსანდრესი, ნიკოლოზი, და არა მამა მისი მიხეილი. მართალია სწორაეთ, რომ ალ. ყაზბეგი ძალიან განებიერებულად იყო კახილიი თაგის მშობლებისაგან და სიკვილიცი სცოლდას მისი ნიჭის შესაფერი სანატრელი შეემთხვა.

მ თვის ცხრას, როგორც მოცლილმა კაცმა, განვიზრახე ბანკის დარბაზში შესეღა. იქ იყო დანიშნული წღიური კრება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. შევედი, თვლი გადავაუღე ჩვენს მოწინავე დასს და გული გამინათლდა; ორმოცდა ათზე მეტი სულ განათლებული, მაღალ სასწაილებელში გატარებული თაობა დამხედა ისინი ისხდენ, ბაასობდენ, ერთმანეთს ეკამათებოდენ; იმათში განათლებული მანდილოსნები ვერ იენ. როგორც ეტყობოდა, ყველას გული შეტკოდა ჩვენი ქვეყნისთვის. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა გარს შემოსხლდომოდა მწვენე მაგიდას და კრების წინაშე ანგარიშს იძღვოდა. საზოგადოების შემოსაველი ყოფილა ამ წელს 8,475 მან., ვასაველი 8,780 მან. ელალ დარჩენილა 285 მან. ამ შემოსაველიდან მხოლოდ 600 მანეთი ყოფილა საწვერო ფული შემოტანილი, დანარჩენი კი სხვადასხვა აღევკრებისა, კონცერტების და თეატრების გამართეთ შემდგარა, ასე რომ მთელის წლის შემოსავლისათვის მადლობერი უნდა ვიყოთ მხოლოდ იმ კერძო პირებისა, რომელთაც უშრომნიათ რომ ზემოხსენებული ალევრები და წარმოდგენები გამართათ. საზოგადოების წევრები, რომელთაც პირდაპირი მთავლობა უნდა ყოფილიყო თავის ხეღერი შემოსატანი წლიური ფული შემოეტანათ, მცირე რიცხეს გარდა, ხელსაც არ ანძრევენ. ნუ თუ ამას არ ჰქვია საზოგადოების გულშემტკიერობა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ირიცხება ხუთას თორმეტი საპატო, დამფუძნებელი და ნამდვილი წევრები. თითოეულს რომ ვალდებული ექვსი მანეთი შემოეტანა, სამას თუმანზე მეტი მოგროვდებოდა და მაშინ არამტოუ ელი დარჩებოდა გამგეობას, არამედ ორას თუმანზე მეტიც ხელთ ექნებოდა, რომ წერა-კითხვის საქმეს უფრო თეალსაჩინოდ წაედგა წინ ნაბიჯი. აი, ხად იხატება ცოცხლად ჩვენი საზოგადოების გულ-გრალობა და უყურადღებობა ჩვენი შინაგანი საქმისა. ბევრი წევრთავანი, რასაკვი-

აი, ის „ნანანი“ სრულად:

კაკან გაურწით
სულიკოს ეძინება,
გემართებს ღმერთს ეავედროთ
მისი აღორძინება.
კეკე, ძუძუ აწოვე,
მკერდს შეუტი გეფინება,
რადგანაც ღმერთმა ინება
ამ ბიჭის მოვლანება.

ნანა ალექსანდრე ჯან,
ჩვენს გულს შეუქის მფენელო!
დღემამის სიხარულიო,
ძიას გულის მღხენელო.

ძიას გულის ნუგეშო
კეთილათ აღორძინდი!
ეთ ეღემის ყვაელი
იხარე აბიბნდი.

ბარტყო შეარდნისაო,
მამასთან ვაღმთორინდი;
მამიდა ვიალერსებს,
ნათლათ უცვალე ბინდი!
ლომ ეფუხის ლეკვი ხარ,
ბარტყი ქორ-შეარდნისა,
მამას დაემგზავნები,
შენ იე და ვარდისაე.

ვის ეგვანები ცული
მზეე, მთეარისგან შობილო?!
იავ, ვარლა კოკობო,
მამის გულზე სობილო,
წალკოდისა ყვაეილო,
ეღემის რგულათ ცნობილო,
ნანატრი აღგესრულდა,
სიხარულათ მობილო!...

N. N.

რეელია, ასე იტყვის: „ზოგი თბისკენ, ზოგი მგლის-
კენა.“ თუ რომელმე წევრმა ვერ იფიქრა დროზე
საწევრო ფულის გამოგზავნა, ან და ცხოვრების ვი-
ეარამის გამო კიდევ გადავიწყდა, თითა წერა-კით-
ხვის გამგეობამ მაინც რატომ აღარ ინებია მოგვანე-
ბინა მცირე ბარათით წვერისთვის: აი, თქვენზე
წლებადელი საწევრო ფული შემოუტანელია და
კეთილ ინებეთ, შემოიტანეთ, თორემ წერა-კითხვის
წარმატების საქმე უსაშუალოებით შეჩერებულიაო.
დიდად ეს მიზეზი მოსახსენებელია და წერა-კითხვის
გამაერტყეველ გამგეობას ბრალად ედება. მაგ-
რამ იმათაც ამითი უნდა იმართლონ თავი, რომ ჩვენ,
უსასყიდლოთ შრომოდლებს, უმისოთაც ბევრი საქმე-
ბი გვაქვსო და მწერლებათაც ხომ ვერ გავიხლეო-
თო.

„ან არა სჯობს ნათა ჯდობა, ანუ მენაფეთა
ბრძოლა“.

მართალია, ნაჩუქარს ცხენს კბილი არ გავშინ-
ჯება, მაგრამ რაკი საზოგადოებას ვისმესთვის დაუ-
ვალგებია ეს წარჩინებულობა და გამეობის წევრად
ამოურჩევი, ან არ უნდა ეკისრა ასეთი საქმე და ან
თუ ეკისრა, სინდისიანადაც უნდა ასრულოს თავი-
სი პოვალგობა. გამგეობამ უნდა იცოდეს ყოველის
წვერის ადგილსამყოფელი და დაჰყოს იგი უბნებათ,
ან ხეობებათ. თითოეულს უბანში თავისი მარჯვე
აგენტი უნდა ჰყავდეს, რომ მან ითავოს წვერებისა-
გან საწევრო ფულის შეკრება ყოველ წლით.

ამ შემთხვევაში, აი, როგორ უნდა მოქცეული-
ყო თვით გამგეობა: იმას უნდა ამოერჩია თვის შო-
რის ორი, ან სამი წვერი და იმათთვის უნდა მიენ-
დო აგენტებთან, ან წერა-კითხვის საზოგადოების წე-
ვრებთან მიწერ-მოწერა. უტყველია, ასეთ საქმეს
მცირედენი ხარჯიც მოსდევს, მაგრამ საწევრო
ფულის შემოსავლიდან ათის თავი რომ გადიდეს
მიწერ-მოწერის ხარჯათ, თან ფულს მაკდენად არა
დააკლდებარა და სამაგიეროთ საწევრო ფულები
უფრო ენერგიულად შემოვა.

ღიდი ბაასი გამოიწვია იმ დაბრკოლებამ, ვი-
თომც შკოლების გახსნის ნება ძალიან შევიწროებუ-
ლი იყოს წესდების მუხლის ძალით, აგრეთვე ბევრი
საყვედური წარმოიტყა იმაზე, რომ თითი წერაკითხვის
სკოლებს ღიდი დაბრკოლება ვადალაბებიაო წინ
უძღვევლის გარემოების წყალობით და ამის გამო
სწავლის საქმე შესაფერ წარმატებას ვერ ეძლევაო.
მაგრამ დეკანოზ ლაშაშვიდის სატყვებისა არ იყოს,
ყოველ დაბრკოლებას გაუმკლავდება სკოლის მასწავ-
ლებელი, ოღონდ კის იყოს შეგნებული ჰირი და

ცდილობდეს მტლად დაედის თავის ნაკისრ საქმეს.
გზამრავალი არს იერუსალიმს საცხოვნებლად მიმავა-
ლი. ამ ჩვენს გარემოებაში წერა-კითხვის გასაერტყე-
ვლად, ჩემის აზრით, სახალხო სამკითხველოების დაარ-
სებას, თუ მგტი არა, ნაკლები სარგელობის მოტანა
მაინც არ შეუძლია. თითა ჩვენი ხალხი და ხალხში
მოტრიალედ შეგნებული ახალგაზდობა უკვე მიხედა
ასეთის სამკითხველოების საქარობას. დღეს ბევრგა-
ნაც არის დაარსებული. რატომ წერა-კითხვის სა-
ზოგადოების გამგეობა არ აქცევს ამ სამკითხველოებს
ჯეროვანს ყურადღებას, რატომ ყველა სამკი-
თხველოებს, საცა კი არის გახსნილი, არ დემატ-
რონება, ყურს არ უდგებს და საცა არ არის, რა-
ტომ იქ არა ხსნის? რატომ ზედაშედეგებს არ ნიშ-
ნავს, რომ მათ შემოიარონ ყოველი კუთხე ჩვენი
საქართველოს ადგილებისა, შეიტყონ ადგილობრი-
ვი გარემოება და მიაწოდონ ხალხს ისეთი სახალხო
წიგნები, რომელნიც ახალმოზარდ თაობას უფრო
ებრიადება წასაკითხათ? განა ამ სამკითხველოებთან
არ შეიძლება ვიყოლიოთ თითო-ოროლა შეგნებუ-
ლი მასწავლებლები, რომ ისინი დაუახლოედენ სოფ-
ლებებს, შევიდენ მათ ოჯახში, მოიპოვონ დედ-მა-
მის თანაგრძობა და შინ ასწავლონ მოწაფეებს, რა-
გორც ეს ძველად იყო ჩვენში, როცა მონასტრებიდან
გამეგზავრებოდენ დიკენები სოფლად, გადადიოდენ
ოჯახიდან ოჯახში, ასწავლიდენ წერა-კითხვას და
საღეთო სჯულს. ამ ჩვენს მდგომარეობაში სად უფ-
რო საქაროა ასეთი ქველმოქმედებითი საქმე დაიწ-
ყოს კაცმა? იქ, იმ კუთხეებში, საცა უფრო ზნელით
მოცულია არე-მარე. მივეშველოთ სამეგრელოს, სა-
მურდაყანას, აჭარას, სენაეთს მთიულეთს, ფშავე-
სურეთს, თუშეთს და მრავალ სხვა ადგილებს. იქ,
აი, იქ არის განსაკუთრებით საქარო წერა-კითხვის
გამაერტყეველ საზოგადოების დახმარება. მაგრამ
სამწუხაროთ ასეთ სავნებედ ერთი კონტრეტ არ დაძრუ-
ლა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ წარსულ სხლა-
მაში. აი, რა არის სამწუხარო და ფრიად დასაფქ-
რებელი. მაგრამ ესე ყოველივე იქიდან წარმოსდგე-
ბა, რომ ყოველი ჩვენთავანი ძარს იხედება და თა-
ვი მაღლა ევლარ აულია.

ჩვენი ქვეყნის რაინდი

II

მადლილო არ იქნება, მკითხველო, რომ უფრო დაახლოვებით გავაცნოთ ტარიელ მკლავაძე და მისი ცხოვრება.

— ბედნიერი ხარ, ბედნიერი! რა ანგელოზი ეუბო დაგებადა! მიულოცა აზნაურ ერეკლე მკლავაძეს ბებია ქალმა, სუსანამ, როცა ტარიელ დაიბადა. გახარებულმა მამამ უბძანა ბიჭებს „აბა თოფები“^{*)}; თითონ კი გამოიტანა თავისი დიდი, მოვერცხლილი დამბაჩა და ასეთი შადღუბი გამართა, რომ გვეგონებოდათ, სოფელს მტრები დასხმიათ თავს და ერთი გატვარებული ბრძოლა აქეთო. შემდეგ, როცა თითონ დახვდა მამამ ახალდადაბებულ ვაჟს, სიხარულით წამოიძახა: „გენაცულო, ღმერთო! ტარიელი დამბადებია! დეილოცოს ჩვენი გვარი! გამოსულა ჩვენ გვარში ლომ-კაცები და ეს არის, კიდევ გამოვიდა! — ერეკლე არა „სტყუოდა; მართლაც აზნაური მკლავაძეების გვარში წმირად გამოერგოდა არა ჩვეულებრივი ხელ-ლონიერი ჭბუკები. ამობენ, რომ ძველ დროში დიდი სამსახური გაუწევია მამულისათვის მკლავაძეების ჭბუკებს, მედგარად ებრძოდნენ მამულზე მოსულ მტრებსაო. რა მოჯახსენოთ, იქნება მართალიც იყოს, რომ მკლავაძეების წინაპრებს მტერთან ბრძოლაში დიდი ეყუცაობა გამოიჩინოს; მაგრამ უფრო ნამდვილად კი ის ახსოვს ხალხს, რომ მკლავაძეების რაინდები სუსტებს და ხელ-ქვეითებს ანადგურებდნენ, აწიოკებდნენ. უკანასკნელ, როცა საქართველოში სოფლების და ოჯახების ერთმანეთზე თავს დასხმის და მიხტომ-მოხტომის ხანა შეწყდა და ეს ქვეყანა ასე, თუ ისე, ერთგვარ ცხოვრების კალაპოტში ჩადგა, მკლავაძეების ძალ-მომხრობასაც, რასაკვირველია, შეეკეცა ფრთა. ახლა მკლავაძეთა რაინდებს ძლიერ შევიწროვებული დაუჩრჩხთ სამოქმედო ასპარეზი... ზოგმა მათგანმა აიღო დროთა აღილა და სხვა, უფრო პრაქტიკულ საქმეებზე გასცვალა რაინდობა, მაგალითად ეპრობაზე, მამულის მოშენებაზე. ბევრს ქალაქებშიც ნახავდით ლაქიებად, ან „პო-ერებად“. ერთი-ორი უმაღლეს სასწავლებელშიაც მობედა და შემდეგ „ჩინოვნიკებად“ გამოვიდნენ. მაგრამ მაინც კიდევ დარჩნენ ისეთები, რომლებსი თვალში ძველმეურ რაინდობას, ესე თეი ძალ-მომხრობას, ჯერ კიდევ შეტყნოდა გვირგვინი, რომლებსთვის ჯერ კიდევ იღვალა იყო ძველმეურ რაინდობა. ერთი ამ

უკანასკნელთაგანი იყო ერეკლე მკლავაძეც. მართალია, თითონ ერეკლე ვერ დაიკებდა მკლავლონიერობას. ის ამ მხრივ საშუალო ზომაზე დაბლა იდგა კიდევ; მაგრამ მაინც კი ალტაცებაში მოდიოდა, როცა მისი გვარის რაინდი სხვა გვარის კაცს მიზეზგაეფედა. მართალია, ხან-და-ხან თითონ ერეკლესაც მოხედებოდა ასეთი რაინდებისაგან: ხან საზიარო მამულისაგან იფრედა ერეკლეს რომელიმე რაინდი გვარის-კაცი, ხან სხვა გვარ შევიწროვებს მიაყენებდა. ასეთი შემთხვევების დროს სიბრაზით აღიფრეობდა ერეკლეს გული, დანით დაეკლა რაინდი გვარის კაცი, გული არ მოუშლიდა. მაგრამ ეს იყო ერეკლეს მხრივ დროებითი მტრობა პირადობისადმი, თითონ ძალმომხრობას კი არ უწიოდა. წინააღმდეგ ერეკლე ნანობდა — რატომ მე არა ვარ ხელ-ლონიერი, რომ ერთი შიშის ზარი დაესცე ყველასო. ამას შემდეგ ვასაკვირვალე არ არის, რომ ერეკლეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა ნახა ახალდადაბებული მისი ვაჟი, რომელიც, ზვილის პირობაზე, ზობად იწევა აკვანში და როცა ტირილს დაიწყებდა, მძლიერ ნებაზე ეტყობოდა, დიდი ღონის პატრონი უნდა გამოვიდესო.

როცა მონათლეს ერეკლეს ჩვილი ვაჟი, მღვდელმა ტიმოთე უწოდა სახელად. მაგრამ მოზობლებმა საქაროდ გამოუტყალეს ეს სახელი: „ტიმოთე, ნეტა რა ევაკაცის სახელია! ბერად ხომ არ ეზრდით, რომ ტიმოთე დაეარქეთ სახელადო“. ტიმოთეს მაგიერად, თავიანთ ვაჟს ტარიელ უწოდეს.

ჯერ კიდევ ექვსი წლის ბავში იყო ტარიელ, რომ მოზობლებმა ხანჯლის ტარება დააწყებინეს. სამაგალითოდ შენოდა ჩერქეზული ტანისამოსით გამოწყობილ ტარიელს ეს იარაღი. ბავშვის პარობაზე, ბეჭებ-განიერი, მეტად საღი თვალ-ტანადი ტარიელ, ხანჯლით წეებო, იმ თავითვე ძველმეურ რაინდს მოგაგონებდათ. ნათესაეები დანაწილები იმ თავითვე დიდი პატიეკმით ეპყრობოდა მას. თვალ-ტანადობას გარდა, საყურადღებო იყო ტარიელის გულადობა: შუღამისას, რომ ყრუ ტყეში მარტოდ მარტო დაეტოვებია, წარბს არ შეიღრვცდა შიშით. ერთხელ მეზობლის ძაღლები დაეცვიენ ტარიელს. ეს ძაღლები ბევრ ევაკაცსაც აშინებდნენ. პატარა ტარიელმა კი ისე დაერია ჯოჯობი ძაღლებს და მოგერა, რომ მეზობელს დიდხანს ჰქონდა ეს ამბავი სალაპარაკოდ. ყველა ამბებთან ბავშობისას კიდევ ერთი კარგი თვისება ჰქონდა ტარიელს: ის არ იყო ჭირვეული და ბოროტი. იშვიათად წაეჩხუბებოდა თავის ტოლ-აზნაანებს, თუმცა და კი გრძობდა უბრატცხობას

*) იხილეთ კვალის მე-3 №-რი.

მათზე თავისი ფიზიკური ღონით. თუ მაინცა და მაინც გააჯაგრებდა ვინმე, მაშინ კი დათვივით დატორავდა ტარიელს, თუნდა გამჯაგრებელი ორისამი წლით უფროსიც ყოფილიყო მანე. მართლა რომ ტარიელი ხარ, ტარიელი“, ეტყოდნენ მაშინ აღტაცებაში მოსული მისი მშობლები და ჩაკაცნიდნენ ტარიელს. მართალია, ბევრ ღირსებასთან ერთი დიდი ნაკლებივანება გამოაჩნდა ტარიელს: სრულიად სუსტი იყო სწავლაში, ასე რომ მისი მშობლები იძულებული შეიქნენ გამოეყვანათ ის სკოლიდან, სადაც იმ რამდენიმე წლის წინეთ დიდი იმედით მიაბარეს. იმდენ ხანს სკოლაში ყოფნით ქართული კითხვაც კი ვერ შეისწავლა ტარიელმა. მაგრამ ამის გამო სრულიადაც არ მოუკლიათ მისთვის პატივისცემა მშობლებს და ნათესავებს. „ჩემი ვაჟი, ტარიელ, ვაქაცი იქნება და ვაქაციისთვის სწავლა არაფელი დიდი ბედნაა“ — ამბობდა ერეკლე. ეს აზრი მეტადრე მას შემდეგ უფრო გაუმტკიცდაო ტარიელის მშობლებს, რაც ერთი პატივცემული ქართველი თავადის სასახლეში ტარიელის შესახებ გამოთქვს აზრი: „ეს რაინდად დაუბნადა ბუნებებს. ცოდეც იქნება, რომ სწავლის გულასთვის ამან თავისი საღი ავებულობა დაასუსტოს. სწავლა საზოგადოდ ასუსტებს ადამიანის სხეულს“ო.

თუმცა-ღა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქება-დიდებას ასხამდენ ტარიელს, მაგრამ ბავშობისას არავითარი უდი ვაფენა არ ჰქონდა ტარიელის ხასიათზე ამ გარემოებას მხოლოდ, როცა წამოიზარდა ტარიელ, მაშინ მიაქცია ყურადღება ამ ქება-დიდებას: „აღბად არის ჩემში მეტად ძვირფასი რამე, რომ ყველა მამებს და პატივს მცემს“ო—იფიქრა მან და თანდათან გამედიდურდა, თანდათან დაეკარგა მის თვალში ფასი სხვის პირადობას, რომლებიც არ იყვენ ბუნებისაკან დაჯილდოებულნი მისთანა თვალ-ტანადობით და კლავ—ღონიერობით, ერთი სიტყვით იმ ღირსებით, რომლისთვისაც მას ყველა პატივს სცემდა და ქებას ასხამდა. ასე ვასწავლო, ერთი პატივცემული პატრიოტიკი კი, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ჰქონდა სწავლა დამთავრებულ და ძლიერ ჰქუიან კაცად ითვლებოდა, როცა ნახავდა ტარიელს, ყოველთვის იტყადა: „ჩვენ ქვეყანას, რომელსაც ასეთი შვილები ებადება, მწაშს, რომ დიდი სახელოვანი მომავალი ექნება“ო. ნაცნობი თავადების სასახლეებში ხომ რა, აღმერთებდნენ ტარიელს. „უშენოდ შნო არა გვაქვს, უშენოდ ჩენი ღვინი უფერულია“ო ეუბნებოდნენ მას ნაცნობი თავადები და მეტადრე თავადის ქალები, თუმცა-ღა კი, ჩვენ-

თვის, რომ ეთქვათ, ტარიელ მაინცა“და მაინც ცერაფელი მომღონი იყო, — არც სიმღერა იცოდა ხერინი და არც ცეკვა, მაგრამ სამაგიეროდ მისი თვალ-ტანადობა ავსებდა ამ ნაკლს. ის რომ ყელს მოიღერებდა სიმღერაში და ბანის მიქმელებს ჩაეროდა (სხვა მებანებს თუ შიაკოვლებდა თავის ბოზ ხმას, თორემ მარტოს არც ბანის თქმა შეეძლო, რადგანც არ იცოდა სად აქნაღლებია ხმა და სად დაეშვა), იფიქრებდით—სწორედ, მარტო ის ამბობს სიმღერასო. ახსოვდა ტარიელს, რომ ერთხან ლამაზმა კნინამ უთხრა მათ შორის მომხდარ შემთხვევის გამო: „ето всегда такъ: прекраснѣшныя принадлежить хрибнѣшему“ და, რადგან ტარიელმა რუსული არ იცოდა, კნინამ მერე ქართულად გადმოუთარგმნა: „უმშენიერესი ამ ქვეყნად უმამაცეს ეყუთენის“ო. ამ გვარად ტარიელ ნელ-ნელა შეეჩვია იმ აზრს, რომ მას, როგორც საუკეთესო ქმნილებას, საუკეთესო ადამიანს, სრული უფლება აქვს დასტკებს ამ ქვეყნად, იგებოს ეს ქვეყანა, თუნდა ამ დატკობას სხვების სიცოცხლე და ბედნიერებაც მოუზღვეს მსხვილადლაო. ლტოლილება დატკობისა ტარიელისთვის გამოირკვა ორ საგანში: ქალებში და ღვინოში. ეს ორი საგანი შეიქნა ტარიელისთვის სიცოცხლის მიზნად. ჰქონდა ტარიელს მესამე ლტოვილებაც. ეს მესამე ლტოვილება იმაში მდგომარეობდა, რომ ტარიელ ეძებდა შემთხვევას გმირული რამ საქმე ჩაედინა. ის ეტრფიადებოდა რუსთაველის „ეფუხის ტყაოსანში“ იმ ადგილებს, სადაც მოთხრობილია ტარიელმა კაცს თავი მათრახით გადუფროიწა, კაცი კაცსა შამოსტყორცნა“... „თავი სეცტას შევატაცე“... და სხვა ამგვარი. ამგვარი გმირული ამბების ტრფივალს ბავშობიდანვე შეეჩვია ტარიელ, რადგანაც მშობლები მუდამ ამისთანა ამბებით უტყდოდნენ ყურს. ტარიელ ეძებდა შემთხვევას, რომ თითონაც ჩაედინა „ეფუხის ტყაოსანში“ აწერილი რაინდებისებრი გმირობა. ერთხელ მოქიფე ყმაწვილებში ტარიელიც ერთად ჩახუბი მოუვიდათ. ტარიელმა აილა და ერთი მომკრო კაცი შემოსტყორცნა მოწინაიღმდეგეს. მომკრო კაცს მიწაზე დაცემის დროს კისერი ეღრძო და ტარიელს საჩივარი დაუწყა. ამ საჩივარმა იქამდე მიაღწია, რომ ნაცნობი დიდკაცობა არ მიშვედებოდა ტარიელს კარგა დიდხნის ვადით სატუსადლოში ჩააჯენდნენ. მეორე ზელ ერთმა, ყმაწვილმა კაცმა ტარიელს გული მოაყვანინა. ცხენზე მჯდარმა ტარიელმა თავისი მსხილი მათრახი დაჰკრა ყმაწვილს და თავი მართლაც, რომ „გადაუფროიწა“. მაგრამ აქაც იგივე საჩივარი ვაი-ვაგლანი

აუტყდა, როგორც კაცის შემოტყარსნის გამო. მართალია, ეს საჩივრები ვერ აშინებდა ტარიელს, რადკანც ნაცნობი დიდკაცობის შემწეობით ის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა სამსჯავროდან, მაგრამ აჯარყებდა კი ძლიერ. რაინდი კაცი და საჩივრები! რა მოწყობილი!

ძლიერ აწუხებდა ტარიელის თავგასულობა მის სამშობლო სოფელს, მეტადრე გლენკაცობას. თითქოს მისი ჰარამხანის კუთვნილება იყოსო, ისე უყურებდა ტარიელ გლენების ქალებს. — „რა არის, რას აჯარყებთ? — სიკლით ამბობდა ის ამ ქმრებზე, რომლებიც ტარიელისაგან შეურაცხყოფილად სთვლიდნენ თავისთავს — უცვდისიც არის მათთვის, ჩემი წყალობით კარგი შეიღობი გამოუყვითო. მეტადრე ცუდი ის იყო, რომ ტარიელმა ძალის ხმარება იცოდა იმ მანდილოსანზე, რომელიც ნებით არ დანებებოდა. ერთ-

ხელ ერთი გლენის ცოლი ძალად გაიტაცა გზიდან, იმ დროს, როცა ამ უქანასქელს ყანაში მყოფს ქმართან სადღის მიძქვდა. მეორეჯერ ახალ ჯვარ დაწერილ გლენის ცოლს ძალად შეუმტყირა კარები, იმ დროს, როცა ამ ქალის ქმარი სხვაგან იყო. ერთი მეზობელი გლენ-კაცის ღამაში ქალი, რომელიც თორმეტის წლის ძლიერ იქნებოდა, მოიტაცა და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდა სადღაც. მართალია, ამ უქანასქელ თავის მოქმედებას კინაღამ თავი არ გადაატანა ტარიელმა, არავის გვონა, თუ ის ამ საქმეს კატორგაში გაუგზავნებდა ვადაურჩებოდა, მაგრამ როგორც იყო, დიდი ხარჯით და მცადაღწერებით დაეხსნეს ამ საქმისაგან ტარიელის მამამ და ნაცნობ-ნათესავებმა, — ტარიელ გამართლა ოლქის სამსჯავროში. არ ვასული ამ საქმის გარჩევას შემდეგ ერთი თვე, რომ ტარიელ დაუხვდა გზაში ერთი გლენის ცოლს და ძალად გააუბატურა.

უნდა ვთქვა, რომ ბუნებითად ტარიელ არ იყო სისხლის მოყვარე კაცი, ძლიერ ეჯარყებოდა ადამიანის დაჭრა და ძლიერ იშვიათდაც ხმარობდა ადამიანზე იარაღს. მაგრამ სამაგიეროდ, როცა ხელით მიბეგვედა ვისმე, მაშინ კი რაღაც ერთგვარ კმაყოფილებას იგრძნობდა. ისე შეაჩეია ხელი სხვის მიბეგვის, რომ არ ეძალა დაუგვიანდებოდა, წყურთვლად მოედებოდა გულზე, როგორც ლომი კლანჭებს, ისე ჭო-

მავდა თავის დიდრონ მკლავებს. დიად, როგორც ვთქვით, ტარიელ არ იყო სისხლის მოყვარე კაცი, იარაღსაც იშვიათად ხმარობდა ადამიანზე, მაგრამ სამაგიეროდ მაინც და მაინც არც ის მიბეგვა იყო უუნებელი, რომელიც ტარიელის ისე უყვარდა, ასე რომ ტარიელისაგან მიბეგვილი ერთი გლენი მესამე დღესვე გადაიცვალა. მართალია, ეს შემთხვევა ტარიელის მშობლებმა შინაურულად ჩაავუნერეს ისე, როგორც აფუჩნებდნენ ტარიელისაგან ჩადენილს სხვადასხვა დანაშაულებს, მაგრამ ტარიელისაგან მოკლული გლენკაცის ცოლშვილი კი უპატრონოდ დაცვიდა.

ერთხელ კი მოთმინებიდან გამოსულმა გლენკაცობამ შეუღღგინა ტარიელს განაჩინი (приговоръ дѣльскаго схода) და წარადგინა, სადაც ჯვარი იყო. ამ განაჩინით ეითომდა სოფლის გლენობას სურდა ტარიელის თავიდან მოშორება. მაგრამ ეს განაჩინი გლენებს უჯანყ დაბორუნეს შემდეგი ზედ წარწერით: „სოფლის ყრილობას, რომელიც შესაძგება მხოლოდ გლენ კაცობისაგან, არ აქვს უფლება თავისი განაჩინით აზნაური გადასახსლოს სოფლიდან“ო.

ერთხელ კიდევ ერთმა გლენმა, რომელიც მძიმე შეურაცხყოფილად სთვლიდა თავისთავს ტარიელისაგან, თოფე ესროლა ტარიელს. მაგრამ ტყეია ასცდა მიზანს. გლენი კი ამ დანიშნულებისთვის სისხლის სამართალში მისცეს და ოლქის სამსჯავრომ ციმბირის მანდებში (კატორგაში) გაგზავნა.

ცოტა არ იყოს, მშობლებსაც მოაძულა თავი ტარიელის ცუდმა საქციელმა. მაგრამ რა უნდა ექნათ, შეიღს ხომ ვერ მოიძულებდნენ? მერე კიდევ ისეთ შეიღს, რომლის მარტო ერთი თვალ-ტანადობა, მათი ფეჭით, მიელ ქეწენად ღირდა, რომელსაც ერთობ მათი ნაცნობი დიდკაცობა, აღმერთებდა.

ტარიელ ხშირად დადიოდა საქეფოდ ქალაქებშიაც, სადაც გაცნობილი ჰყავდა მთელი გუნდი მოქეფე ყმაწვილებისა. მაგრამ უფრო კი მისი ასპარეზი სოფელი იყო, სოფელი, სადაც მას უზრუნველად ინახვდა მშობლების მდიდარი ოჯახი და მის თავგასულობას წინ ვერავინ ელობებოდა.

ე. ნინოშვილი

ონჯ (ივანე) ტინდალი




არსულ წელს ინგლისმა დაჭარბა საუტეთესო ბუნებისმცენიერი ტინდალი. იგი იყო ღარიბი ირლანდიელი დედამამის შვილი; თავის დაუღალავი შრომით დაძლიებით შეიქნა სახელოვანი მეცნიერი. მის დედ-მამას არავითარი ღონისძიება არ ჰქონდა, რომ ნიჭიერი ტინდალი აღეზარდა უმაღლეს სასწავლებელში. მაგრამ რაც დედ-მამის უსაშუალობამ ვერ შესძლო, იგი შესძლო თვით ტინდალის

მხნობამ. როგორც კი შესარულა პირველდაწყებითი სწავლა, მაშინვე სამსახურში შევიდა და დაიწყო შრომით თავის რჩენა. 1848 წელს ოცდა რვა წლის ტინდალმა იმდენი ფული მოაგროვა, რომ თავისი ხარჯით გასწია გერმანიას და შეიქნა სახელოვანის მეცნიერ-ფიზიკოსის ბუნზენის მოწაფე.

ტინდალს ვტაცებთ უყვარდა ფიზიკა, ესე იგი ბუნების ძალების მასწავლებელი მეცნიერება. იმან დაიწყო სხვა-და-სხვა ბუნების ძალების გამოცდა და მრავალი ახალი საბუთი შესძინა მეცნიერებს. მან

ზედმიწვევით შეიგნო, რომ ის მრავალგვარი ძალები, რომელნიც ათასნობარ ბუნების მოვლინებაში გვეყვანება, სხვა-და-სხვა სახედ, სულ ერთი ღ იგივე ბუნების ძალისაგან არის წარმოშობდარიო და მძალს ეწოდება ნიეთიერების მოძრაობა. თუმცა ამგვარი სწავლის მამთმთავარი ტინდალის მოძღვარი მეცნიერი ფარადეიყო, მაგრამ ტინდალმა მანც ბევრი რამ აუხსნელი საეცირველება ბუნების ძალებისა ახსნა, რომელიცა თვით ფარადეს ვერ აეხსნა და საიქვოდ ხდიდა მის თეორიას, მის მიერ გამოქვეყნებულს სწავლას. მაგალითად, მოვიგონოთ ბუნების ძალი - ელექტრონიზმ, რომელიც იხადება ქარებაში, როცა მას მაუღზე წაუსმენ. ჩვენ ამ ძალს ეამხნეთ იმითი, რომ იგი სუბტუს ბაზმის, ან ბურბუშელას ნაწილებს აიტაცებს ხოლმე მიწიდან და მიაკრავს ქარავს; ამ დროს ქარავს ერთნაირი სუნიც აუღინდება. როგორც ვიცი, ამ ძალს ძველითგან უწოდეს ბერძნებმა ელექტრონიზმ. თუ ასეთი ძალი ბევრი დავროვდა ღრუბლებთან ჰაერში, მაშინ გაჩნდება ქექაქუხილი და მგზბტება, მისგანვე წარმოებს სინათლე, მისგანვე წარმოებს სითბო, იგივე ამოძრავებს ბუნების საგნებს და მისგანვე წარმოსდგება ყოველნაირი ხმაურობა, ანუ უკეთ ვთქვათ ხმოვანება. ერთი სიტყვით ყოველ ნაირი მოქმედება, ბუნების მოვლენა, ძლიერი იყოს, გინდა სუსტი: მოძრაობა, თუ სითბო, სინათლე, თუ ხმოვანება სულ ერთი და იგივე ძალისგან წარმოებს, რომელსაც მეცნიერები უწოდებენ ნიეთიერების მოძრაობას. შეიძლება ერთ შემთხვევაში ახადამტურა, მაგნიტური, ანუ მიტაცებითი ძალი ელექტრონულ ძალად გადაიქცეს, შემდეგ ელექტრონული ძალი სინათლის ძალად შეიქნეს, სინათლე კი ხმოვანობად, ხოლო ხმოვანობითი ძალი უზარალო ნიეთიერების მოძრაობად გადაიქმნეს. აი, ეს ბუნების ძალების მრავალსახეობა და ერთარსებობა ზედმიწვევით გამოიკვლია ტინდალმა და აუხილა თვლი კაცობრიობას ბუნების საიდუმლოებაზე. ტინდალმა, პირველად იყო, რომ გამოაკვლია დაწერილებით მყინვარების მოძრაობა ალბის მთებში, ან თუ ეს უზარმაზარი გა-

ყინული მდინარეები როგორ იქცევიან თანდათან წყლად, პრვევენ კლდეებს და ანაცრებენ ლოდებს და ეს მყინვარები როგორ ბადებენ თვის შორის მდინარის სათავეებს. 1872 წელს ტინდალი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და დაიწყო იქ კითხვა სახალხო ლექციებისა სითბოზე და ელექტრონიზმზე. აუტრება ხალხი ესწრებოდა მის ლექციებს, ყველას საეცირვლად მიჰანდა მისი ნათელი სიტყვიერება. არავითარი მწეი მეცნიერული გადმოსაცემი ბუნების ძალების ვითარებისა იმას არ მოუარჩებოდა აუხსნელი. ისე მარტივად იცოდა ლაპარაკი, რომ უსწავლელი კაცი, ადივლად გაიგებდა, თვით წერაკითხვის



ჯონ (ივანე) ტინდალი

უკადნელი კაციც ზედმიწვევით ითვისებდა მის მიერ გარკვეულს აზრს ბუნების მოვლენაზე. ტინდალს სწორედ ღვითური ნიჭი ჰქონდა ზეგარდამოცემული, რომ ბრმა კაცის გონიერება უეცრად განეთებინა მეცნიერების მუქითა. ამ დროს მან თავის ადვილ გასაგები ლექციებით დიდი ფული შეიძინა და დიდათაც განითქვა ქვეყანაზე მისი სახელი. მაგრამ რაც იმან ფული მოავროვა ამ ლექციების კითხვით, სულ მეცნიერების ძიების კამიტეს შესწორა, რომ ყოველ ახალგაზდა და შეუძლო ბუნების მკვლევარს დახმარება ჰქონოდა იმ ფონდიდან (იმ თანხიდან). ტინდალმა ერთი შესანიშნავი დაკვირვება შესძინა კიდევ მეცნიერებას. იმისი აზრით, თუ რომ დედამიწაზე სიციცხლის ნიშანწყალია და რაიმე ცხოვრება შესაძლებელიაო, ეს სულ წყლის პაწაწინა ბუშტების მცობებით არის, რომელნიც დედამიწის გარშემომდგარს ჰაერში დასცურავენ და თვით ჰაერიც მითია გაყენილიო. ამ პაწია წყლის ბუშტების წყალობით, რაც რომ მშისგან სითბო ეძლევა დედამიწის იქვე რჩება და მისგამოსობით არის, რომ დედამიწის ზურგზე ცხოველნი და მცენარენი ხარობენ და მრავლობენო. მისი მრავალი თხზულებები ყველა ევროპულ ენებზე გადათარგმნილი. მაგრამ იმათ შორის საუკეთესოდ მანც იარი მისი თხზულება ითვლება: „აღ პის მყინვარები ანუ გლექტიერიები“ და სითბო, როგორც მოძრაიე ძალი“.



ლით. დემუროვსა თხალის

ჩენი ბატონი გვეძახის
უნდა ვიახლოთ, ქალოვო,

მოკონება



არბაზში იჯდა თავილი,
დინჯად ჩიბუხსა ქსუტავედა
და მის წინ ქონის სანთელი
მკრთალი ნათელით ბეჭუტავედა...
მოხუცებული კალარა

ფიქრებში იყო გართული, —
ერთს საგანს დამტერებოდა
მისი გონების მართული.
იმ ხანად აშმაღ დავარდა,
ააზატებენ ყმებსაო,
ქმარი მიუეცა ცოლს სახლში,
მეა უბრუნდება ძმებსაო.

რა მოსაფიქრი საქმეა,
 ჰკეად მოსატანი ესაო?
 სთქვა ქაიხოსრომ მწყურალადა
 და ამოუშვა კენსაო.
 ჩვენ აღარაფერს გვკითხავენ
 ჩვენის საქმისას, ჰყურობთო!
 გვეუბნებიან, თქვენს ყვებსა
 ავად ეყურობით, ჰშურობთო.
 თითქოს თუ განთავისუფლდენ,
 მაშინ გვექნება ძობაო?
 მე არ მოგიკედეთ... უფროცა,
 ჩამოეჯარდება მტრობაო....

ახალწლის დილა გათენდა,
 ძღენობა ღღედ არის ცნობილი,
 სისხამ დილაზე წამოდვა
 ბატონი კეთილ-შობილი...
 იმას ძღენის დარდი არა აქვს,
 აივანზე დგას მღუმარე,—
 და ისეე ჩიბუხსა ჰსუტავს,
 სახით ქუში და მჭმურვარე.
 შენიშნა დელაკაცები,
 ერეკებიან ვირებსა,
 წყალზე მიდიან, თავშოვებ მი
 ჰმალდენ გაყინულს ცხვირებსა,
 მათ შეუძახა: ღღედებო,
 ჩვენსკენ წამოდით ჩქარაო,
 უნდა რამ გამოგიცხადოთ,
 ნულა ყოყმანობთ, ემარაო.
 — ჩენი ბატონი გვეძახის,
 უნდა ვიახლოთ, ქალოვო,
 იწყენს და გაგეიჯარდება,

ბარემ მიგბრუნდეთ, ძალოვო! —
 სთქვა ერთმა, სხვანიც დასთანხმდენ,
 ვირები მიღვენ ეზოში.
 ერთი მათგანი კოკლობდა,
 ქარი თუ სჭირდა თეძოში.
 მივიდენ, თავი დაუტყრეს,
 მოკრძაღვით დადგენ განზნელა:
 „რა გნებათ, ჩენო ბატონო,
 ან დაგვიძახე რაზნელა? —
 თავაღმა ხმა როდი გასცა.
 ბიჭებს უბრძანა მკვანებდა:
 „წადით და ცხლავ, ამ წუთას
 იმ დიდს ქვეყრს ამიხადეთ;
 მოხსენით ვირებს კოკები
 და სულ ადესეთ ღვინითა,
 თუ უნდათ ქალებსაც ასეთი,
 რომ შინ წავიდენ ღვინითა.
 ასრულდა მისი ბრძანება,
 იმევე წუთას, დილითა.
 დიაცნი გაოცებულნი
 ბატონს შეჰსცქერენ ღმინითა.
 „რად გვიკრისთ, ჩემო დედებო,
 კიდევ რა გითხრათ, იცითო,
 ღღეს აბას იქით მე და თქვენ
 უნდა შევიკრნეთ ფიცითო.
 მე აღარა ვარ ბატონი,
 თქვენ კიდევ ჩემი ყმანიო.
 განთავისუფლებთ ყველასა,
 შეეთვისდეთ როგორც მძანიო,
 წადით, უთხარით მეზობლებს
 და გაახარეთ ყველაო.
 ღვინოს რომ ჰსეაძვეთ, ესა სთქვით:
 მომკემი ადღერძელაო!

ვაჟა-ფშაველა

სხინვალის ახალი ხიდი

ზეტარა ლიხაგზე

ზეტარა ლიხაგზე დღეს ხიდი გაკეთებულია, მაგრამ, ვაი, იმ გაკეთებას მას შემდეგ, რაც საგუბერნიო მაშენებელ კამისიაში (Въ строительной Комиссiи) არსებობს ტენიციის კრ — იჩის მიერ შედგენილი აქტი ხიდის სისუსტეზე. იგი ამბობს, ხიდი დაბალია და ძალიანაც საშიშია, არ ჩანგრეს წყალდიდობას და ყინულობასაო. მას ახლათ მინდა ხიდი, როცა კარიელი რიყეა და ორი ნაჯადული წყალისა არ მოდის? ხიდი მინდა მაშინ, როცა წყალი დიდია... და თუკი წყალდიდობაზე შესაძლებელია ჩანგრეს, როგორც კრუ — იჩის

აქტი ამოწმებს, მას სჩანს, ხიდი ვერ ყოფილა მაკრათ ნაკეთები. ბევრი ამართლებს იმას, ვინც ხიდის გამკეთებლები ყოფილან, ასეთი სიტყვებით: თუ ვინცობაა, ცოლდა გვეკითხა და ხიდი მართლა წყალდიდობას ჩაინგრავ, რა ექნათ მერე... გროშობით გაკეთებულს ხიდს მეტი რა მოეთხოვებოდა? მაგრამ ნურას უყარავთ, ხიდი გაკეთდა, აი, რითი: ხაზინაში ჰქონდათ 700 მან. შეტანილი, წარმოდგენიდან შემოვიდა 388 მანეთი, ხე ტყე და მასალა შემოსწირეს თავდათა: ხერხეულიძეებმა, ფაგლენიშვილებმა, მაჩაბლებმა, აზნ. ყურულუბმა, და სხვებმა. დურგლები, მხერხავეები და ყოველწიხი ხელისანი სოფლების ხარჯზე იყო გაწერილი. მუშა სულ მუქთი იყო საცხინვალა და სამეჯერისხევა

საბოკოელოდან. ამას გარდა ხიდს მოაზმარეს ის მასალა, რაც დიდ ლიხზევე გადებული სხინვალის ხიდს ვაღარა. ამას გარდა სამი ბურჯი თვით იე. სულხანიშვილმა გააკეთებინა (იხილე წარმოდგენილი აქტი). ეს ბურჯები ბატ. იე. სულხანიშვილს ოც-თუ მანზე ნაკლებ მიიძე არ დაუჯდებოდა. ნუ თუ ყველა ეს ხარჯი „გროშებთან“ უნდა ჩაითვალოს? ფულის ხარჯი მართა ერთ ღურგალზე მიდიოდა და შესდვა ოც-თუმნამდის, აგრეთვე იყიდეს ოცდათორ-

მეტი ხე და ხიდის სახმარი ტინეულობა: მუელი ხარჯი ათას მანეთზე მეტია ნაჩვენები. დახარჯებო- და თუ არა ამდენი ფული იმ შემოხსენებულ საშუ- ალებსთან, ამას, რასაკვირველია კარგი ანგარიში უნდა, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ, ვი, თუ ხიდს მაგარი არ გამოკვადგეს და ამოდენმა ხარჯმა ცტუ- ილიად ჩაეთიაროს. ჩვენს საწუხარი და საეაღალო აი ეს არის, უფრო ეს გარემოება გვაშინებს, რადგან კრუ— იჩის ოქმი ხელთა გვაქვს.

თ. კ. ხერხეულიძე



* *

გრძობავე, გრძობავე, გულის ზღეაო, რისთვის ცდილობ, რომ ჩანთქაო ჩემი გულის მყუდროება და კეთილი გულისთქაო?!

შენც ზღეა ხარ და ზღეასებრ შფოთავ, იბრძვი მისებრ და მღელვარებ, ზოგს იძულებ და შხაშს ასმევ და ზოგს კი, ვით ღმერთს, იყვარებ.

გრძობავე, გრძობავე, გულის შხამო, რად გსურს მუღამ, რომ მაწამო მოკლულ გულში ანთებულის დამწველ სიყვარულის გამო!

ერთის მცირე თვალის მოკვრით ლამაზს სახეს ღმერთად სახავ და გგონია, რომ მას გარდა სხვას უკეთესს ეფრსად ნახავ.

გრძობავე, გრძობავე, გზის ამრეცო, ვინ არს მართალ მოაზრო, რომ ასწონოს შენი ძალი და ზნეობით სიმადლოვ?

ხალხი ბრძა: მას ის მოსწონს, ვისც აქ ხელთ რამ უკავია და არა ის, ვინც გონებით მაღალი და უკვდავია.

გრძობავე, კუთის თანატოლო, რად გსურს ღელვა განაწიოლო და აზრი, ეს ქვეყნის მწყე, დასაჯო და აიყვადო?!

ვინ არს ქვეყნად, რომ დაგიცხროს სურვილი და გულის ნდობა და უზომოს შენს სიყვარულს, ან სიძულეილის მისცეს ზომა?!

გრძობავე, გულის ოკავენ, აწ გმირულად აიტანე ქვეყნის ბრუნვა უკუღმართი და არის ღებნა მოუტანე.

მოჰკალ გულში სიყვარული, სძლიე იგი, რაც გაუღლებს, მაღალი ხარ და მაღლიდან დასცქერე ხალხს, ვით ქინკველებს.

კრიტიკული შენიშვნები

(თხზულებანი თეოფ. ხუსკივიძისა 1881— 1891 წ. გამოცემა კ. თავართქილაძის წიგნის მალახისა № 25).

მზულებანი ბნ ხუსკივიძისა შეიცავს საშხ გან- ყოფილებას. პირველს შადღენს მოთხრობები, ქორეს ბიბლიოგრაფიული წერილები და მე- საქეს — ნეკროლოგები. პირველს ანუ ბელეტრისტულ განყოფილებაში ოთხი მოთხრობაა მოთავსებული. ორი ამოთავანია— „მწიარე ხეღერა“ და „სანდრო“ ორიგინალურია, ხოლო დანარჩენი ორი — „საშინე- ლი ვალი“ და „ოქროს გული“ ნათარგმნი. ჩვენ მი- ექცევეთ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ პირველ ორ მოთხრობას.

„მწიარე ხეღერი“ს და „სანდრო ბეღკრულის“ (სარჩეში ასე ეწოდება მოთხრობას, ხოლო თვით მოთხრობას კი „სანდრო“ აწერია) შინაარსს აქვე გავაცნობდით მკითხველს მოკლედ, მაგრამ ეს ჩვენი ფი- ქრით, საჭირო არ არის. თვით მოთხრობების სახელები ისეთი მარტივი და საგრძნობელია, რომ ადამიანს წინ-და-წინვე აუღლისსამებინებს, თუ რაზედაც უნდა იყოს შიგ ლაპარაკი. და ეს წინა- სწარ-გრძობა ისეთი რამ არის, რომ ყოველ გეარ შინაარსის შემოკლებაზე უმჯობესია. მაგრამ, რადგან მწიარე ხეღერი და კრული ბედი ყოველ წოდების, დავო- მარგობის და ხელობის კაცს შეიძლება ხედეს, ამისთვის საჭიროდ ვრაცბთ მკითხველს გაეგებინოთ, რომ „მწი- არე ხეღერის“ გმირი სოფლის სკოლის მასწავლებე- ლია, ხოლო „სანდროსი“ — სტუდენტო ბეღკრულა- ძე. როგორც სხანს, აეტორი ეტება ესრედ წოდებუ- ლის ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრებას, რითაც, რა- საკვირველია, უფრო ყურადღების ღირსად ჰხდის თა- ვისს ნაწარმოებს.

საბრალო მათე („მწიარე ხეღერის“ გმირის სა- ხელია) მასწავლებელი ს. ღვინეთში ღიღს შრომას ეწყეა მისდამი რწმუნებულის სკოლის მორთვა-მო-

წყობის გულისთვის. მოწაფეებს მუყაითად და გულ-
მოღონით ასწავლის; მოკლე დროში აარსებს სკო-
ლასთან პატარა ბიბლიოთეკას. აწერებს ბალ-ბოს-
ტანსა და სხვა. დიდ ლეაქოს სდებს იგი აგრეთვე
თვით ლენინის მკვიდრად. იგი არის იმითი გზის
მაჩვენებელი, გაქირავებიდან გამოხსნელი, იმათი მო-
სარჩლე და სხვ. მიუხედავად ასეთი სამსახურისა
მას პირადად ბევრი რამ გასაქირავ აქვს. იგი ითმენს
სიციცეს, შიმშილს, უფულობას და სხვა-და-სხვასა.
მაგრამ აეტაროს რომ ეს მდიდარი მასლა უფრო ხე-
ლოვნურად შეემუშაებია, უფრო მეტს შთაბეჭდი-
ლებას მოახდენდ და მკითხველზე. სოფლის მასწავლე-
ბელს ისეთი ადგილი უჭირავს ხალხის ცხოვრებაში,
მისს მოღვაწეობას ისეთი მნიშვნელობა აქვს და ამას-
თან მისი ეინაობა ისეთი წყევლია დით არის მოცული,
იგი ისეთ არა სასურველ მდგომარეობაშია ჩვენში
ჩაყარდნილი, რომ ნიჭიერ ბე-ეტრისტის კალამს უცე-
დავი ნაწარმოების შექმნა შეუძლია ასეთი მასალი-
საგან.

ეტყობა ბ-ნ ხუსკიძეს ზედმიწევნით ჰქონებია
შესწავლილ-შეთვისებული პედაგოგიკის (სწავლებითი)
კანონები. ეს მტკიცდება იმ გარემოებითა, რომ ის
საუცხოოდ გვისურათებს ხოლმე მოახრობის გმირს—
იდეალურ მასწავლებელს მათეს. მათეს პედაგოგიუ-
რის ნიჭისა და ზერხიანობის გასაცნობად აეტაროს
შეყვეყნოს ს. ლენინის ახალ დაარსებულ სკოლაში
და უფრო გვეკადებიებს სამავალითა ვაკეთილისა-
თვის. ხსენებულ სკოლის ახალ შემოსულ შეგირ-
დებს მასწავლებელი სანამ გაუკეთებდეს რასმე, — ეცნო-
ბა მათ, როგორც ამას პედაგოგიური კანონი მოი-
თხოვს; ჰკითხავს ხოლმე შეგირდებს თვითოეულად
თეთ-თავის სახელსა და გეარს, მაშის ეინაობას და
სხვა-და-სხვასა. რიგი მიეა ერთს შეგირდზე—კოტია-
ზე, რომელსაც მასწავლებელი ეკითხება:

- მამა შენი რა მოხელე კაია?
- მე მამა აღარ მყავს, ბატონო, სიქვა ეს და თვალე-
ზიდან ცრემლები დადამოუშვა.
- მაგის მამა, ბატონო, ქაჯმა დაამტერია—წამოიძახა
იქვე მჯღღმარე კოტია აშხანავმა.
- როგორ თუ ქაჯმა, რას ამბობ?
- კი, ბატონო, მამამეი ქაჯმა დაამტერია. ავით მყოფი
ფი მოიდა შინ და მაზინე დაეასიეთ ექიმები, მაგრამ ვერას
გავხდით. რამდენი მკითხავები, რამდენი გამოლოცვა და ზე-
თის კულთბევა და სხვა საშუალება არ ეინმარეთ, მაგრამ მაინც
გერათფერი ვუშველეთ. ერთ კვირაში გავიქვდა და მეორე კვი-
რაში კიდევე გარდაიცვალა.
- შენ, კოტე, ნამდვილად გჯერა, რომ მამაშენი ქაჯმა
დაამტერია?
- კი, ბატონო!
- თქვენ გჯერათ? ჰკითხა მათემ მთელ შეგირდების
გროვას.
- კი, ბატონო, როგორ არ გჯერა. ქაჯი ნამდვილათ
არის. ერთბელ თურმე მამა ჩემს გზაზე შეხვდა ქაჯი და დაე-

ტიდა. მამაჩემი ყმაველობაში თურმე ლენინი იყო, მაგრამ
მაინც იმ წყველ ქაჯს დადგია, დაეცა და ერთი გვე-
რდი მოსტყუა. მას აქეთ ცალი მკლავი და გვერდი გამხზარი
აქვს, წამოიძახა ერთმა შეგირდმა.

— ბიძა ჩემმა ბატონო, კიდევაც დაიჭირა თურმე თეგა-
ობის დროს, მაგრამ ისევ გაეშვა, რადგან ბევრი შეხვეწა—
წამოიძახა მეორემ.

— არა, ჩემო ძვირფასო პატარა მეგობრებო! ესენი, რა-
საც თქვენ მოჰყავით, ყველა ტყუილია. ამ გვარი ამბები ყველა-
ფერი შინისგან წარმოდგება. ერთს ეს მითხარით: ქაჯი ხომ
მაშინ ვიხედებთ წინ, როდესაც მარტო მიდხართ სადმე?

— კი, ბატონო, ორი ადამიანი „მკველია“, ძირელ ეში-
ნიან თურმე ქაჯსაც, ამ წყველს ძალა მარტო ერთ კაცთან აქვს
თურმე!

— ჰო, მაშ ეს, ჩემო კარგებო, ქაჯი კი არა, ფიჭობია,
რომელნიც შინისგან ხან ქაჯად იქცევა და ხან, ვინ იცის, რად,
ამგვარ ცრუმორწმუნობას უნდა ერიდოთ, არ დაიჯეროთ.

— დღის შემდეგ, იცოდით, რომ თუ გზაში შინების
ფიჭობი არ გაგიტაცებთ და არაფერის შინი გულში არ ჩა-
გივარდებთ, მაშინ, მერწმუნეთ, არც ქაჯი დაფიჭვებთ წინ
და არც ბიქა, აღი და სხვანი.

ეს ჩემი სიტყვები თქვენს შრომებზეც გადავით და
დაარწმუნეთ, რომ ეს ასეა.

— შენ ხომ ეტყვი ჩემს სიტყვებს შენს შრომებს?—ჰკი-
თხა მასწავლებელმა სანდრას.

— კი, ბატონო, ვეტყვი, მარამ არ ვიცი, რომ დეიჯე-
როან. (ზედამოტორილი პასუხია).

- რატომ არ დაიჯერებენ?
- შიტო, ბატონო, რომ მამაჩემი თითონ ექიმიო.
- რა გვარი ექიმიო, როგორ არჩენს ავადმყოფს?
- გიყებს და ქაჯისაგან დამტერულებს არჩენს!
- როგორ, რა ნაჩით არჩენს გიყებს?
- როგორ, ბატონო და, აი, ამ ნაჩით: ერთი ბლის
ჯობი არეს და რაც უნდა გავიყებული იყოს, ამ ჯობს დაა-
დებს გულზედ, ერთჯერ, ან ორჯერ. შეშინებულისას გამოუ-
ლოცავს და ავთმყოფი იმ წასმე მორჩება.

აქ მათემ შეაჩერა ჩთელი შეგირდები და განუ-
მარტა, თუ რამდენი ამისთანა მატყუარა და ცრუ
სარწმუნე ხალხის „მყოფელები“ ჰყოლებენ ჩვენ
სოფლებში და თავიანთი დამდაბლებული სწერა-
ბით და სინიღისით მახინჯებენ და ხალხს, როგორც
წინობით მით უმეტეს უფრო მატერიალურად: რომ
ყველაფერი ეს სიცრუეა და ამ გვარ ექიმებს მხო-
ლოდ იქ შეუძლიათ იექიმონ და ატყუონ ხალხი,
სადაც სწავლა-მეცნიერებას თავისი გამკურნებელი
სხეი არ მიუყრენია. სადაც სწავლა და განათლებას
ჯერ (იდეა არ გაუღდას მავარი და საიშელა ფსევ-
დი), (22—23 გვერდი).

მოკვცათ ლეთის წყალობა, ჩენი ქვეყანა ფეხ-
ზე წამოდგეს, თუ მათეს მზგავსი პედაგოგები (მასწავ-
ლებლები) გამრავლდენ ჩვენში! ამაზე და მეტი კი-
დეე გნებათ, ბატონებო! პირველ დღეს, პირველსა-
ვე გაკვეთილზე უოველ გვარ ცრუმორწმუნებას
ჰსპობს სკოლების გულში! რომელ პესტალოცის,
სადაურ ლანკასტერის და მისთანებს შეეძლოთ ეს!

ეს კიდევ არაფერი. განციფრების ღირსი ისაა, რომ ერისა და იმავე დროს სკოლების მშობლებსაც შეენს ხოლმე ეს სათაყვანო მასწავლებელი „მეცნიერების გამკურნებელ სხივს.“ ეს ჩემი სიტყვებია (ქაჯის შესახებ, ეუბნება მასწავლებელი თავის შევირდებს), თქვენ მშობლებსაც ვაძლეოთ და დარწმუნეთ, რომ ეს ასეაო*, ესე იგი, რომ ქაჯი, ალი, ჭინჯა და მისთანები არ არსებობენია. ღმერთმა კარგი დავმართოს,—ეს სანატრელი საქე იყოს! მაგრამ, ვაი, თუ პატარა მოკეტულებმა ვერ მოაქციეს თავიანთი მშობლები და მოკეთებები, რომლებსაც ზოგს თვალდათვალ დასკიდნება ხოლმე ქაჯი, ზოგს კიდევაც შეუპყრია ეს მანერ სული და ზოგაც ჰკურნებს საბრალო დაქაჯულთას!..

ახლა „მწარე ხეცებს“ თავი დავანებოთ და ვადავილოთ თელი მთორე მოთხრობას „სანდროს“. აქ გვოულობთ ავტორის ნიჭის ახალ მხარეს. მთიე მასწავლებელი, რაც უნდა მქრალად იყოს იგი დასურათებლი, ჩვენი ცხოვრებდან მაინც არის აყვანილი. მაგრამ გვეყვარა შეიძლება ითქვას სანდრო ბედკრულაძეზე, ნამეტნაველ უკანასკნელ ხანებში. სანდროს შეუყვარდა კატო, რომლის გულსთვისისაც სწავლებლაზე გული აიკრუა, სამუდამოდ გული დაიხარჯა; მასთან სადილობს, მასთან ეახშობს და, წარმოიდგინეთ მისი თავდაჭერილობა, არც ერთი სიტყვით, არც ერთი შეზღვევით არ იჩენს იმ გრძნობას, რომელიც მისივე მოწოდებით „გაღვიდა და ობოლ ნაკვერცხლათ იქცა“ მის გულში! ამის მიზეზს თითონ ბედკრულაძე გვიხსნის: „ჩემი მომავალი მაშინებდა, შეძლება არაფერი მქონდა და ჯამავირიც ისეთი მცირე, რომ დღე-დღეზე ძლიეს გამოვიდოლი“ო. ეს კეთილი, მაგრამ ძლიერი სიყვარული ასეთს ანგარიშებს რომ არ დასდებს! ესთქვათ, ესეც არაფერი, მაგრამ ჩვენი ხალხი როგორცაა შეზღუდულობის იყო მასწავლებელ ქალზე, რომელსაც მუდამ დღე „კურა“ უხსნა გვერდზე! თითო იმ მოღვაწეობის ინტერესი, რომელსაც ასე თავდადებულად ეწეოდა ახალგაზრდა ქალი, მოითხოვდა, რომ რალაც სხვა გვარად მოქტეულ იყენ შეყვარებულნი. თუნდა ამასაც თავი დავანებოთ. განსაკუთრებულ ხასიათის სიმარგეს და თავდაჭერილობას აჩენინებს ხოლმე ავტორი თავის მოთხრობის გმირებს მაშინ, როცა სანდრო უტყა-დებს თავის სატრფოს—კატოს რუსეთში წასვლას მაღალ სასწავლებელში შესასწავლად და თანაც შემწეობას სთხოვს მას! კატოს შორდება საყვარელი არა ერთი დღით, არა ერთი თვით, არამედ მთელი ოთხი-ხუთი წლობით და, წარმოიდგინეთ, მის სიხარულს სახლდარი არ აქვს! არც ერთი წარბი შეკმუხენია ხოლმე კატოს, არც ერთი უნებლიეთი ცრემლი ჩაჰკუთნებია თვალებში, ასე აღტაცებით ფიცს აძ-

ლევს სანდროს: „უკანასკნელ გროშს შენ მოგაყწედი“ო! ასეთი უგრძობობა და გულტკეობა შეყვარებულთა, ნამეტნაველ ისეთს საქნელო წუთში, როგორც არის დიდწრობით განშორება, პსიხოლოგიურ კანონებს ეწინააღმდეგება და მოთხრობის გმირებს შესამჩნევად აპირებს მკითხველის თვალში. შეყვარებულთა თავდასაყვალში ციე გონებაზე მეტი ადგილი გრძნობებს უნდა დაეთმოს მუდამ.

რისთვის მიღის ბედკრულაძე რუსეთის მაღალსასწავლებელში? სწავლა-მეცნიერების შესაძენად, რომ შემდეგ შესაფერად აღტკერილმა ღირსეულად ემსახუროს სამუღს? არ ვიციო. თითონ ბედკრულაძე გვეუბნება: „ან თავს შეესიწორავ და ან დიპლომანი შინ დებრუნდები“ო. რაღა გაუჭირდება ჩვენ ქვეყანას, ბედკრულაძემ თუ მიზანს მიაწია? მაგრამ დახეი უბედურებს! ბედკრულაძეს რუსეთის ჰავა ვერ იკუებს, ასწეულებს... ამასაც არ აქმარებს მას მუბთალი ბედი. ცხოვრების წყაროსაც უშსობს! კატო აედა ხნებდა, რისგამოც ეერას უგზავნის სანდროს და დასასრულ სულაც ესალმება საბრალა ამ წუთის სავფლს. სანდრო ცხოვრების უსახსრობის გამო ბრუნდება სამშობლოში, გზაში გაზეთიდან ტუობილობს თავის სატრფოს გარდაცვალებას... მიღის სახლში და თავს იკლავს.

ასე ტრალიკულად თავდება შეყვარებულთა თავდასაყვლი. როგორც ჰხედავთ, ავტორის მოკლედ უყვარს რთული შემთხვევებისა და მოულოდენების განმარტება. საბუთიოცა აქვს, რომ ასე მოიქცეს, რადგან ჩვენის გენიოსის რუსთაველის—მოწოდებით

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შირია ამით კარგი“.

ეს ყოველგვარ ნაწარმოებზე ითქმის. ამას რაღა ემჯობინება, თუ ათი სიტყვის მაგიერად ერთს, მაგრამ მთელი საგნის გამოშატელოს და გამმარტებელს ბრძანებთ? ნამეტნაველ ეს სიმოკლე უნდა იქმნეს დღეული შინაგან ბრძოლის, სულის კვეთების ახსნა-განმარტების დროს. აქ ყოველ გვარს გარს შემოვლას და მრავალ სიტყუობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თავი და თავი საქე იმაში მდგომარეობს რომ ასეთი სიტყვა, ასეთი მოქმედება აირჩიოთ, რომლითაც ერთბაშად გვისურათდებოდეს მთელი არსება გმირისაც! საქმეც ისაა, რომ ისეთს ნერვს შეგებოთ გმირისაც, რომელსაც შეეძლოს ყველა ნერვების აშლ, ყველა გრძნობების გამოშატარება. ნუ თუ ავტორს არ უნდა ჩაებენდა კატოს გულში მაშინ, როცა ის ნებას ჰრთავს სანდროს რუსეთში წასვლისას და მატრიალურ შემწეობასაც ჰპირდება? ნუ თუ არ უნდა აეხსნა ჩვენთვის ავტორს, რა მოსახრებით იკლავს ხოლმე თავს ბედკრულაძე? ჩვენ შევიძლია ვიფიქროთ, რომ ბედკრულაძე, როგორც ძალზე და-

სუსტებული ადამიანი, როგორც კლექად ჩაეარდნილი შეუძლებლად სთელის თავის გაჯანმრთლებას, ვერ უძლებს სენთან შეერთებულ ტანჯვა-წვალებას და საუმჯობესოდ სთელის ერთბაშად თავის დაღწევას ასეთის მდგომარეობისაგან. მაგრამ ესეც ხომ ეიცით, რომ ზოგჯერ სრულიად ჯანმრთელნი ადამიანებიც ისპობენ ხოლმე თავის სიცოცხლეს. ეს ყოველი ავრე ხდება, მაგრამ თავის სიცოცხლის მოსპობა მართლა არც ისე ადვილი საქმეა, რომ მხოლოდ ორი სიტყვით „თავი მოიკლა“ -ო- დაეუსურათოთ მკითხველს! ეს რთული და განსაცვიფრებელი მოვლენა ჯერ-ჯერობით მეცნიერებსაც არ აქვს გადაჭრით ახსნილი და გამოკლებული. ამისთვისაც ყველა, ვინც ცოტად, თუ ბევრად ნათელს მოჰქვანს ამ მოვლენას, დიდ სამსახურსაც გაუწევს ხოლმე თვით მეცნიერებასაც.

თუნდა რომ ყოველგვარ პსიხოლოგიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს ბნ ხუსკიეაძის მოთხოვნა „სანდრო“, ერთი რამ ნაკლი მაინც ზედ ეცრება მას. საქმე იმაშია, რომ ისეთს გმირებს, როგორც არიან სანდრო და კატა, აწინდელს ჩვენს ცხოვრებაში ნიადავი არ აქვთ. ზოგიერთები სწორედ ხოლმე მოთხოვნილებს არა იმ საზოგადოების, იმ წრის ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულებების მიხედვით, რომელსაც აკუთვნებენ თავიანთ მოთხოვნილებას, არამედ უტყობელ მწერალთა მიბაძვით. წაიკითხავენ უცხო ენაზე რასმე, მოეწონებათ და ქართულს ცხოვრებაშიაც ჩმავე მხარეებს ჰპოულობენ დალოცვილები. იმათ რომ ეფთხრათ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი გმირები არა ქართველები, არამედ ფრანგები, რუსები და სხვები არიანო, - ალღევებით გიპასუხებენ: „განა არ შეიძლება ქართველებიც ეგეთივე იყვნენ?!...“ ასეთის ცრუ შეხედულების მექონი ხელოვნებაზე ბევრნი არიან მკითხველთა შორისაც ჩვენ ში...

აქ გაესწვეტ ჩემ შენიშვნებს და ზედ ერთს სურვილსაც დაემენ, რომ ბნ თეოფ. ხუსკიეაძის შემდეგი ნაწერებაც მალე გამოიკვს და თუ როდისმე მოხდა ეს, ამ ნაწერებში, ვგანებთ, პირველ ალაგს დაიჭერს მოთხრობა „პატარა დიკონი“, რომელიც შარშანდელ ჟურნალ „ჯეჯილის“ ერთ-ერთ ნომერში იყო მოთავსებული. კარგი რამ არის, უნდა მოვახსენოთ, ეს პატარა მოთხრობა.

ზღვისპირელი

მოჩნუბარძიძის სასწოვრათ



ადაკითხეთ „მოძღვარი“,
„ქელუჯა“, „გოჩა“, „ილისი“ —
და სთქვიო: „ეს დაწერილია
ზეცთ ნაკურთხის ხელისო!“

იქ ნახათ გმირულს მამულის სიყვარულს ქართველებისას, წყაროთა ჩუჩხუხს, ტყეთ შრიალს, კვენას და გმინვას მთებისას!

იქ დაისწავლით, რა მართებს მეგობრისათვის მეგობარს; იქ შეაჩვენებთ ავტორთან თქვენც ავაზაკს და მეკობარს!..

და ყველა ამის მომქმედმა სვა ძირმწაოთ და სამსალა; მან ჯილდოთ ტანჯვა მიიღო — და დღეს საწუთროც დაცალა...
ესლა მოვლის ჩვენ მუშაკთ თეალი მარადის სეგლია: —
„სხვა-და-სხვა ჭირი ჩვენ ზედ არ ახალია, ძველია!“

11 ქრისტეშობისთვის სილოვან.

რუქქორა-გამომცემელა ან. თ.-წერეთლისა.

პერკო განსხადება

პეტიტორების ბიძის ამახი

ხუთმანეთიანი ოქრო ახალი მოჭრილი ღირს...	7 მან.	37 კ.
ხუთპროცენტანი აღმოსავლეთის სესხის ას- მანეთიანი ბილეთი ვადის	101	50
— — — მესამე გამოცემა	102	25
— — — შინაგანი მოგების ასმანე- თიანი ბილეთი	1864 წლისა	240
— — — — 1866 წ.	225	—

ოთხპროცენტანი შინაგანი სესხის ასმანე- თიანი ბილეთი პირველი სერიისა	99	85
— — — მე-2 სერ.	—	—
— — — მესამე —	—	—
— — — მეოთხე —	—	—
ხუთპროცენტანი მომგებიანი ასმანეთიანი ბილეთი სახელმწიფო სააზნაურო ბანკისა	189	75
ოთხმანეთიანი პროცენტანი სააზნაურო ბან- კის ბილეთი	99	—
ხუთპროცენტანი ტულიის საადგილ-მა- მულა ბანკის ბილეთი	98	75
ექვსპროცენტანი — — — — —	100	75
ქუთაისის ბანკის ექვსპროცენტანი	100	75
ხუთპროცენტანი — — — — —	98	75

რაინის ზვის მიმოსვლა

პეტერბურგს რომ 3 იანვარს ტირაჟი მოხდა, უმთავრესი მოგება ხელა შემდეგ ბილეთებს.

ტფილისიდან ბათუმს მიღის საფოსტო მარტებელი №-2 6 ს. 30 წამ. დღ. და №-4 6 ს. 50 წამ. საღ.

ბათუმიდან ტფილისს მიღის №-1 9 ს. 52 წ. საღ. და №-3 12 ს. 25 წამ. დღ.

ტფილისიდან ბაქოს №-3 მიღის 1 ს. 20 წამ. დღ. ბაქიდან ტფილისს მიღის 5 ს. 50 წამ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდან განჯას მიღის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდან ტფილისს მიღის 1 ს. 30 წამ. დღის.

ტფილისიდან ხაშურს მიღის 3 ს. დღ. ხაშურიდან ტფილისს 8 ს. 10 წამ დღი.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღეაზედ.

ბათუმიდან გადის:

ხუთ შაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შვიელის ნოვოროსისკში და კერწში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შვიელის ყველა ნავსადგურში.

ბათუმიში მიდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსისკით და სოხუმიტ.

ოთხშაბათობით: დღისით სწორე გზით ნოვოროსისკით და სოხუმიტ.

პარასკევობით და ოთხშაბათობით: საღ შორის გზით, შვიელის ყველა ნავსადგურებში.

ფოთში მიდის:

საფოსტო და სამგზავრო ბათუმიდან კვირა დღისით, განთიადისას.

პარასკევობით: საფოსტო და სამგზავრო.

სამშაბათობით: დღისით სამგზავრო და საქონლისა ოდესიდან.

ხუთშაბათობით: დღისით სამგზავრო და საქონლისა ბათუმიდან.

ფოთიდან გადის:

პარასკევობით: ნაშუადღეის ორ საათზე საფოსტო და სამგზავრო ოდესაში და ყველა ნავსადგურში შვიელის, დილის ხუთ საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სამგზავრო საქმის გათავების შემდეგ ბათუმიში.

სამგზავრო და საქონლისა ბათუმიში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სამგზავრო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავსადგურში შვიელის.

საქონლისა და სამგზავრო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებთან უსაფხლოდაც.

	რუხი	სეიონი	ბილეთები	მოგება	რუხი	სეიონი	ბილეთები	მოგება
	7128	26	200000	9869	24	1000		
	15330	46	75000	8279	49	1000		
	8801	7	40000	13456	19	1000		
	5186	38	25000	17459	50	1000		
	14100	16	10000	18346	50	1000		
	17699	16	10000	14206	48	1000		
	6323	28	10000	168	44	1000		
	212	32	8000	12801	38	1000		
	8927	16	8000	18347	21	1000		
	8125	25	8000	10480	34	1000		
	19364	14	8000	11266	36	1000		
	1216	10	8000	10938	23	1000		
	17510	10	5000	5144	24	1000		
	6811	7	5000	9418	49	1000		
	11648	2	5000	13542	30	1000		
	13303	38	5000	1146	47	1000		
	17460	37	5000	592	29	1000		
	5533	21	5000	7104	5	1000		
	18402	11	5000	19734	38	1000		
	10073	18	5000	553	41	1000		

ხუთასი მანეთის მოგება ხელა შემდეგის ნომრის ბილეთებს

- 1: 3461, 6044, 9308, 14004, 14433, 16403, 17968.
- 2: 525, 2174, 4727, 10672, 11509, 17119, 19707
- 3: 39, 2598, 7218, 16370.
- 4: 4020, 15196, 18674
- 5: 2254, 2850, 5921, 6704, 7617, 8059, 12308, 14959, 17578.
- 6: 533, 5099, 12244, 12412.
- 7: 786, 1284, 15232, 15321, 17100, 17542.
- 8: 12938, 13380.
- 9: 90, 4614, 6722, 9354, 11142, 15975, 17007, 18422.
- 10: 3593, 4791.
- 11: 511, 2270, 2401, 4770, 8344, 9599, 15688.
- 12: 7804, 12209.
- 13: 1676, 2502, 6918, 8050, 11144, 11538, 11867, 14469, 17824.
- 14: 732, 7875, 10674, 11131, 13685, 16100, 16143.
- 15: 2706, 4515, 5730, 8595, 9258, 10388, 11956.
- 16: 745, 2044, 5302, 7909, 8256, 9838, 14195.
- 17: 3087, 13569, 17377, 17966.
- 18: 6333, 13709, 18121.
- 19: 2384, 6179, 9644, 11850, 13808, 14620, 19456.
- 20: 17725.

- 21: 2057, 2258, 3174, 6282, 8021, 8582, 8995, 14166, 16319, 18862.
- 22: 11315.
- 23: 4406, 12017, 13328, 13517, 15243, 18047, 18701.
- 24: 6072, 6246, 8287, 12741.
- 25: 4822, 10280, 12448.
- 26: 2806, 6072, 6760, 7150, 11937, 17047, 17441, 19649.
- 27: 2522, 6995, 11961, 13722, 18297, 19976.
- 28: 5518, 6633, 8837, 13364, 17972.
- 29: 10461, 12234, 14670.
- 30: 9929, 10462, 12700, 17879, 18378.
- 31: 597, 4317, 7443, 8578, 13156, 19287.
- 32: 5248, 6303, 13974.
- 33: 1905, 2370, 5783, 6152, 6919, 7823, 14838, 16463, 17290.
- 34: 4173, 7597, 8998, 12670, 13369, 16999.
- 35: 3616, 12912, 16690, 19725.
- 36: 9174, 12911, 15582.
- 37: 14849, 15807.
- 38: 598, 17654.
- 39: 726, 1610, 3219, 9722, 10366, 12282, 13444, 14583, 19160.
- 40: 2051, 2004, 8420, 14024, 17121.
- 41: 568, 5612, 5845, 12562, 17479, 17980.
- 42: 4831, 7293, 8770, 11236, 12370, 13183, 15163, 16874.
- 43: 1994, 2172, 2438, 3334, 3881, 8029, 13054, 14686, 16501, 17170, 19765.
- 44: 11322, 16800.
- 45: 1818, 17015.
- 46: 6351.
- 47: 2397, 13833, 15340.
- 48: 6661, 8473, 11304, 12434, 17584.
- 49: 2906, 13320, 19023.
- 59: 2069, 2752, 4283, 7291, 10655, 11312, 12834, 13025, 14557, 14581, 17905.

იმ ბილიტების ნომრები, რომელნიც გაუქმდნენ.

- 11827 15999 11898 894 16073 17920 14127
- 3008 1459 2014 6859 11847 9639 8085 3669
- 15756 6134 13544 8277 12562 13709 7724
- 17282 18633 12322 14154 18340 5034 1658
- 17800 8822 245 17671 16526 16675 16993 4703
- 18171 140 98 13796 19167 12447 19781 14665
- 3544 2476 15762 13646 5755 19378 5334
- 17688 17215 16663 16017 9029 128 2652 17511
- 14830 3292 5936 6588 9272 12818 16700
- 19127 11227 50 4566 7709 5823 18501 19834
- 6063 5269 10830 4773 19188 2661 1073 9729
- 9379 6664 11488 5453 17968 5806 3574 18679
- 3798 5712 2721 5976 10369 2100 11403
- 15922 4725 19744 6794 10908 688 1590
- 2982 15727.

დაზღვევის საზოგადოება

ი ა კ მ რ ი (ღ უ წ ა)

უძალდასა და დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2 500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულიც, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებით სასარგებლო პირობებში იმ შემთხვევისათვის. როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვევულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

მიიღება ყოველნაირი მოძრაიისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით, მდინარით და ხმელეთით წასაღებ წამოსაღების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განწვიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამკებაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოზნების სახლში, თუ არა და თვით საზოგადოების ავენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზაურიეისაგან, რომელიც დავს ველაიმინოვის ქუჩაზე № 2.

გამოვა და ისყიდება ყველგან

ვალი. გუნიას მიერ

შედგენილი და გამოცემული

საქართველოს კალიენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 567 გვერდს დიდის ფორმატისას, დასურათებულია ქართული მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

უპის წიგნი 1864 წლისათვის

მშენიერი ყლით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

საოჯახო კედლის კალიენდარი 1894 წ.

მშენიერად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკით დასტამებული. უქმეების და ამინდების აღნიშვნით. ფასი 20 კაპ.

სასალონო კალიენდარი-1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორი სურათით.

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ხიდვეკლის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჟილაძესთან ბეჟანწიფილითან და ხეთერელთან, ზაიუქში კალანდამესთან, ხონში წერეთელთან, ფილიში ტულუშთან, სენაკში და ოსურჯოში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამოცემულთან: ტფილისი. ფრეილერის ქუჩა № 7.